ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N1

2017 წლის 17 იანვრი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის განსაზღვრის შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 36³-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ავთანდილ მესხიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რუსლან ქორიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ნინო ჩხეტია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

დ) ვახტანგ წულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ე) ოთარ დიასამიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

ვ) როლანდ შარაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ზ)ვახტანგ გოლიაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და მრეწველობის ინსტიტუტის მცენარეთა სელექციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

თ) ზვიად არჩუაძე - პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) წარმომადგენელი - კომისიის წევრი;

ი)ტიტე არუშიძე - ა(ა)იპ - დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი - კომისიის წევრი;

კ) ილია არძენაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე - კომისიის წევრი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის განსაზღვრის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 1 დეკემბრის N1 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ მესხიძე